საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# კომუნისტი

შაბათი, 31 ივლისი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 5 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 5

## ხელისმომწერთ

გაზეთ „ახალი კომუნისტის“ კანტორა გიცხადებთ რომ გაზეთზე წვედრი ხელმოსაწერი ფული პირველ აგვისტომდე შემოიტანოთ. ვინც პირველ აგვისტომდე არ შემოიტანს, გაზეთი არ გაეგზავნება. ფული მხოლოთ შემდეგი მისამართით მიიღება: „ახალი კომუნისტის“ რედაქცია და კანტორა რაქდენ თომასმე კალამეს პასკევიჩის ქუჩა № 3.

გაზეთ „ახალი კომუნისტის“ კანტორა.

## კორესპოდენტების საყურადღებოთ

მოგვაწოდეთ მოკლე შინაარსიანი წერილები. აღნუსხეთ ფაქტები ადგილობრივი და მუშათა ცხოვრებიდან. წერილები უნდა იყვეს დაწერილი ცალ გვერდზე სუფთათ და გასაგებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიბეჭდება. პასუხისმგებელ კორესპონდენტებს უფასოთ გაეგზავნებათ ჩვენი გაზეთი. გამოგზავნეთ თქვენი მისამართი.

## განდგომილი და განდევნილი ბელადი

შარშან ბერლინიდან იტყობინებოდენ: ქ. კაუცკი ყველასაგან მიტოვებულათ გრძნობს თავს თავის პარტიაში, არც შეიდემანელების და არც სპარტაკელების პარტიის ხაზს ის არ იზიარებს, ამიტომ გადაწყვეტილი აქვს სამუდამოთ მიატოვოს გერმანია და დასახლდეს ავსტრიაში, სადაც მისი აზრით სოციალ-დემოკრატია ერთად ერთი აწარმოებს სწორ მარქსისტულ პოლიტიკას. ახლა გაზ. „ბორბა“-ში გადმობეჭდილია გერმანულ გაზეთის უკანასკნელი ცნობა: „კარლ კაუცკის განზრახვა აქვს სრულიად ხელი აიღოს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. ფიქრობენ, რომ ის დატოვებს გერმანიას და დასახლდება ვენაში, სადაც ის ამ ჟამათ იმყოფება“.

მაშ ასე, ყოფილი მეორე ინტერნაციონალის ყოფილი უდიდესი იდეოლოგი ხელს იღებს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, შორდება პროლეტარიატს და კერძო მოქალაქეთ ხდება, და ეს მაშინ, როცა მთელი ქვეყნიერება ზანზარებს რევოლიუციის ქუხილისგან, როცა სწორეთ პროლეტარიატი გამოდის ძველი საზოგადოების მესაფლავის როლში, როცა ზოგან მან უკვე დაასამარა ჩაგვრის და ძარცვა-გლეჯის რეჟიმი, როცა დედამიწაზე, კუთხიდან-კუთხემდე, გაისმის უკანასკნელი ბრძოლის ლოზუნგი: დიქტატურა პროლეტარიატისა! ეს ხომ ნამდვილი სიმბოლოა, სიმბოლო ცოცხლათ გახრწნისა იმ ინტერნაციონალის, რომლის სულიერი და თეორეტიული მეთაური იყო ქ. კაუცკი ენგელსის სიკვდილის შემდეგ, და რომელმაც ასეთი საშინელი და თან სამარცხვინო კრახი და გაკოტრება განიცადა უკანასკნელ იმპერიალისტურ ომის დაწყებისათანავე. „მავრმა შეასრულა დავალება, მავრს შეუძლია წავიდეს“—ამბობს მთელი ქვეყნის ბურჟუაზია, რომელსაც გამოადგა კაუცკის ასაშფოთებელი ორპირობა და რყევა პროლეტარული რევოლიუციის ძირითად საკითხებში პირმოთნეობა და რენეგატობა გადამწყვეტ შეტაკებების დროს. კაუცკი ვითომ ვერ შეურიგდა და ვერ შეეთვისა შეიდემანელთა, ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მკვლელთა პოლიტიკას, და გასცილდა მათ, რათა ავსტრიის ნაკლებგასისხლიანებულ სოც.-დემოკრატებში დაედგა თავისი საბუდარი. მაგრამ აქაც გული აცრუება, თუ გარიყული და განაპირებული დარჩენილა და ისიც პოლიტიკურათ თვითმკვლელობას არჩევს—განდგომილი პროლეტარიატისაგან, ის იძულებული ხდება, განდევნილის ჯვარი იდვას ზზარზე და ზიდოს მარტოობაში. საშინელი ტრაგედიაა მარა აუცილებელი, როგორც აუცილებელი იყო მეორე ინტერნაციონალის გახრწნა. მარა კაუცკის აჩნდება ისეთი დაღი, რომლის მორეცხვა შეუძლებელია და რომელიც ცხადჰყოფს ყველასათვის მთელს უფსკრულს მისი დაცემისას: ესაა შეიდემანელების პარტიის უკანასკნელი ამბორი. ამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ყვითელი ინტერნაციონალის ბიუროსთვის ცალკე მოხსენების მაგიერ გაუგზავნია ქ. კაუცკის ბროშურა „დემოკრატია თუ დიქტატურა“ წარწერით: ის შეხედულებანი, რომელიც გარკვეულია ამ ბროშურაში, სავსებით გამოხატავენ გერმანიის სოც.-დემოკრატიის შეხედულებებს; კაუცკის სისწორით აქვს გაშუქებული ამ საკითხის ვითარება გერმანიაშიცო.

აი რა უფსკრულის კარს მიდგომია ქ. კაუცი, ყოფილი მემკვიდრე და ნების ამსრულებელი მარქს-ენგელსისა პროლეტარულ ფილოსოფიაში, მეცნიერული სოციალიზმ-კომუნიზმის სფეროში! ყველა ქვეყნის მებრძოლი პროლეტარიატი მწუხარებით ალსავსე თვალს გააყოლებს ამ განდგომილ და განდევნილ წინამძღოლს, მარა იტყვის: ეს ძვალი უკვე გამოიხარშა ჩემს ქოთანში და ჩემს საქმეს არ შეაფერხებს მისი გადაგდება...

## „სოციალიზმის მთლიანობის“ ჭირისუფალნი

როგორც მსოფლიო ომის დროს დავინახეთ, სხვა და სხვა ქვეყნის „სოციალისტურმა“ პარტიებმა დიდი როლი ითამაშეს „სამშობლოს დაცვაში“ და ამ დაცვის დროშის ქვეშ თავთავის ეროვნული ბურჟუაზიის დახმარებაში, მათი პოზიციის გამაგრებაში როგორც შიგნით, სოციალური ბრძოლის ფრონტზე, ისე გარეთ მეტოქე ბურჟუაზიის წინააღმდეგ. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი პოლიტიკური პარტიის „მოღვაწეობა“ არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი ამ ომის დროს, როგორც სოციალისტურის და ეს არა მარტო გამარჯვებული კოალიციისათვის მისი გამარჯვების დაბოლოებაში, არამედ დამარცხებულისათვისაც, რომლის ბრძოლის უნარი, მიუხედავათ ბრძოლის ველზე მისი საბოლოოთ დაცემისა, უკიდურეს მაქსიმუმამდი ავიდა სწორეთ სოციალისტური პარტიების და მუშათა სინდიკატების მეოხებით. ყველასათვის, იმათ გარდა, ვისაც თვალები აქვსთ გახელილი, რომ არასფერი დაინახონ, ცხადზე უცხადესი უნდა იყოს, რომ სწორეთ ამ მიზეზის გამო, როგორც გამარჯვებულ ისე დამარცხებულ ქვეყნებში, ძველი სოციალიზმი, „სოციალიზმი“ მეორე ინტერნაციონალის, შეიქნა ორივე შემთხვევაში სასტიკათ დამარცხებული, ნამუს ახდილი, ისტორიულ ტალახში ჩაჭეჭყილი. მთელმა რიგმა ისტორიულ გარემოებათა, ბურჟუაზიისა და მისი „სოციალისტური“ აგენტების პოლიტიკამ საბოლოოთ გათიშა ოდესღაც ორგანიზაციულათ შეკოწიწებული სოციალისტური პარტიები და მხოლოდ ფორმალური გამოხატულება მიეცა სინამდვილეში არსებულ ფაქტს მაშინ, როდესაც ამ ექვსი წლის წინეთ ჩვენმა პარტიამ ისროლა ლოზუნგი მთელ სოციალისტურ ინტერნაციანალში რასკოლის გატარების შესახებ, რაც დღეს შესრულდა კიდევაც მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებით. ამ რასკოლს მოითხოვდა ინტერესი მომავალი კომუნისტური რევოლიუციის, მარა ამას სრულიადაც არ მოითხოვდა ინტერესი ბურჟუაზიის. ამიტომ ის გაჩვიდა, რამდენათაც საქმე შეეხებოდა მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ დაპირისპირებას, მომხრეთ ძველი „სამშობლოს“ ე. ი. არსებითად ბურჟუაზიის დამცველი ოპორტიუნისტული სოციალიზმის მთლიანობის, ძველი ინტერნაციონალის ხელუხლებლათ შენარჩუნების, რომ მით საშვალება არ მოსპობოდა თავის მონობა-მორჩილებაში დაეტოვებია ის სამუდამოთ და საუკუნოთ გაეგრძელებია სოციალიზმის კრიზისი. ამ მომენტიდან იწყება სწორეთ ომში ჩათრეულ და ომის გამმაგრებელ სოციალისტური პარტიების და მათგან შემდგარი მეორე ინტერნაციონალის ბურჟუაზიის მიერ საეჭვო ჭირისუფლობა, მისი მთლიანობის თავგამოდებით დაცვა.

ამ მხრით საინტერესოა საფრანგეთის ფინანსიური ტუზების ხელმძღვანელი ორგანოს „ტან“-ის გოდება იმის შესახებ, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის „მობალშევიკე“ (bolchevisants) ელემენტების მეოხებით, რომლებიც რაც დრო მიდის სულ უფრო და უფრო ძლიერდებიან, პარტია თანდათან თავს იხრის „ლენინის ყოვლის შემძლე რევოლიუციონური ნებისყოფის წინაშე“-ო. ამასთან ერთათ გაზეთს არ შეუძლია დაფაროს ის მისთვის არა სასიამოვნო ფაქტი, რომ ყოფილი მეუმრავლესეების (რენოდელის) ფრაქცია, ბალშევიზმის ზრდის ზეგავლენით წარმოადგენს დღეს პარტიაში „უჯარო შტაბს“. ამნაირათ, ამბობს გაზეთი, საფრანგეთის სოციალისტური პარტია შედგა ახალი შეცდომების გზაზე, რომლის შედეგი იქნება მისი „მორალური და პოლ[illegible]კური დამცირება“-ო.

ჩვენი მკითხველი უეჭველათ მიხვდება, თუ რა ფასი უნდა ჰქონდეს მუშათა კლასის ბრძოლისათვის სოციალისტურ პარტიას, რომლის პოლიტიკური დასუსტება საწყენათ რჩება მუშათა კლასის და ნამდვილი სოციალიზმის მოსისხლე მტრებს.

გერმანიის ძველი სოციალ-დემოკრატიის ბელადი ბებელი ამბობდა: როდესაც ბურჟუაზია ქებას და[illegible] ჰყებს ხოლმე, მაშინვე მოვიხედავ განვლილ გზაზე და ვეძებ, აბა სად, რა ალაგას და რა მოქმედებაში ჩავიდინე ისეთი შეცდომა, რომ ბურჟუაზიისათვის მოსაწონი და საქები შევიქენიო. სოციალიზმის და მუშათა კლასის მიმართ სისხლის სამართლის დანაშაულობის ჩამდენმა ოფიციალურმა პარტიულმა წრეებმა, პარტიულმა ბიუროკრატიამ და მათმა ბელადებმა კარგი ხანია დაჰკარგეს ყოველი უნარი თავის წინაშე ასეთი კითხვის დაყენებისა და მით სამუდამოთ მოსწყდენ პროლეტარიატს, ან უკეთესათ რომ ვთქვათ ეს პროლეტარიატი თანდათან ისვრის მათ თავის წრიდან ისტორიულ ნაგავში. და ეს გარემოებაა სწორეთ რომ აფიქრებს და შიშს ჰგვრის „ტან“-ის სულის ჩამდგმელებს.

მათი სურვილია ხელუხლებელი დარჩეს მთლიანობა ძველი, „სამშობლოს დამცველი“ პოლიტიკის მაწარმოებელი, ბურჟუაზიასთან რევოლიუციონური ბრძოლის უნარს მოკლებული და მასთან შემთანხმებელი სოციალისტური პარტიების. მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალთან ბრძოლაში ისინი თავგამოდებით იცავენ ამ პარტიებისაგან შემდგარ მეორე ინტერნაციონალს, რომელიც დღეს ცოცხალ ლეშს წარმოადგენს. და ეს დაცვა სრულიათ ბუნებრივია, რადგან ომის დროს ბურჟუაზიისათვის აშკარა შეიქნა, თუ რა ძლიერ იარაღს წარმოადგენს მისთვის ბრძოლის ძველ მეთოდებზე აღზრდილი, ძველ ტაქტიკის მაწარმოებელი სოციალიზმი.

მარა ეს შეიქნა აშკარა არა მარტო ბურჟუაზიისათვის, არამედ მუშათა კლასის რევოლიუციონური ელემენტებისათვისაც, რომლებიც სწორეთ ამიტომ თავს აყრიან დღეს მესამე ინტერნაციონალში და მით ბოლოს უღებენ ძველს, ბურჟუაზიის დამხმარე მეორე ინტერნაციონალს, მისი შემადგენელ პარტიების მთლიანობას. ამიტომ არის საინტერესო ბურჟუაზიის ხელმძღვანელი გაზეთებისათვის ძველი სოციალისტური პარტიების „მორალურ და პოლიტიკურ“ დამცირებაზე გოდება, რაც კიდევ უფრო ააშკარავებს ამ პარტიების რეაქციონურ როლს დღევანდელი გადამწყვეტ ბრძოლის ხანაში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ეს გარემოება საბოლოოთ აუხელს თვალს მუშათა იმ წრეებს, რომლებიც ჯერ კიდევ მისდევენ აქა-იქ ძველ პარტიებს და მათ მესამე ინტერნაციონალის რევოლიუციონური არმიის რიგებში საბოლოოთ ჩააყენებს.

ქ. კრედო.

ფ. ლორიო

## რევოლიუცია და ევოლიუცია

(„კომუნისტური ინტერნაციონალი“ № 6)

ჩვენ რევოლიუციონერები ვართ. რას ნიშნავს ეს?—ეს ნიშნავს ერთი იმას, რომ ჩვენ გვრწამს, რომ ურევოლიუციოდ შეუძლებელია კაპიტალისტური წეს-წყობილების გარდაქმნა სოციალურ წეს-წყობილებათ; ხოლო მეორე, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მზათ ვართ პროლეტარულ რევოლიუციის საქმეს შევსწიროთ მთელი ჩვენი ნივთიერი და სულიერი ძალ-ღონე.

მაგრამ აქ უწინარეს ყოვლისა იბადება კითხვა, რომელმაც ომთან ერთათ და განსაკუთრებით ომისაგან წარმოშობილ რევოლიუციონურ გარემოებებთან ერთად გამოიწვია ღრმა გათიშვა საფრანგეთის მუშათა ორგანიზაციებში, სახელდობრ კითხვა,—რა არის რევოლიუცია? ასეთი კითხვა რომ დასმულიყო მუშათა წრეებში 1914 წლამდე, ის მხოლოდ ღიმილს გამოიწვევდა. მაშინ ყველანი სცნობდენ, ყოველ შემთხვევაში, უხმოთ,—ვის მოუვიდოდა მაშინ ფიქრათ ამ სიტყვის გამო მსჯელობის გამართვა,—რომ რევოლიუცია, ეს—კანონის წინააღმდეგი, უეცარი და უსათუოდ ძალდატანებითი შეცვლა არის ერთი პოლიტიკურის ან ეკონომიური წესწყობილებისა მეორეთი.

მოიპოვებოდენ რევოლიუციის მომხრენიცა და მოწინააღმდეგენიც, და თუმცა ზოგი ჩვენგანი მაშინაც ისე, როგორათაც ეხლა ხელს უწყობდენ იმ ყალბ შეხედულებას, თითქოს საარჩევნო უფლება და უფლება კავშირებისა და კრებების, ეგრედ წოდებული „დემოკრატიზმი“ აძლევს პროლეტარიატს საკმაოთ ძლიერ იარაღს კაპიტალიზმის ვეშაპთან ბრძოლისას სრული თავისუფლების მოსაპოვებლათ, მაგრამ ეს ხალხი, ყოველშემთხვევაში, რევოლიუციონერათ არ აცხადებდა თავის-თავს, და ამიტომ არც რაიმე საბაბს იძლეოდა გაუგებრობათა შესაქმნელათ.

ეხლა ყველაფერი შეიცვალა. ეხლა რეფორმისტები აღარ მოიძებნებიან, ყოველ შემთხვევაში საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში, ეხლა სულ ყველანი რევოლიუციონერები არიან. კონფედერაციის წინამძღოლნი გადაწყვეტით აცხადებენ—რევოლიუციონერები ვართო და სავსებით იზიარებენ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულს ორ პირობას რევოლიუციონერებისას, რომელთაც ისინი საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებათ სთვლიან. ეხლა ისღა დაგვრჩენია, კარგათ გამოვარკვიოთ, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა—„რევოლიუცია“.

ნიშნავს ეს,—ამბობს ჟუო,—კატასტროფიულ აქტს, რომელიც მოასწავებს ძველი წეს-წყობილების დანგრევას, თუ ამის წინააღმდეგი მოვლენა, როცა ხანგრძლივი ევოლიუციონური პროცესი, რომელიც ცოტ-ცოტაობით გარემოიცავს ხოლმე მთელს ამ წეს-წყობილებას, და რომელიც თანდათანობით არღვევს რა არსებულ წეს-წყობილებას, მასთან ერთად მისავე ჩარჩოებში ჰქმნის იმ ორგანიზმს, რომელიც დასასრულ მის ნაცვლად უნდა დამკვიდრდეს? აი რა არის რევოლიუცია შეგნებულ რევოლიუციონერებისთვისო,—ამბობს ჟუო უკანასკნელი განმარტების გამო,—და სახელდობრ ასე ესმოდა ის ყოველთვის შრომის საყოველთაო კონფედერაციასო“.

შესაძლოა, თუმცა რამოდენიმეთ საეჭვოც, რომ მართლაც ყოველთვის ასე ესმოდა რევოლიუცია შრომის საყოველთაო კონფედერაციას და ის არასოდეს არ ანსხვავებდა მას „ხანგრძლივ ევოლიუციონურ პროცესიდან“, რომელიც უარჰყოფს ყოველგვარს კატასტროფიულ აქტს“; მაგრამ—ნურას უკაცრავათ ჟუოსთან—და ქვეყნათ მუდამ იყვენ, არიან და იქნებიან შეგნებული რევოლიუციონერები, რომლებიც იზიარებდენ, იზიარებენ და გაიზიარებენ სულ სხვა შეხედულებას რევოლიუციაზე, ვინემ ეხლანდელი მდივანი შრომის საყოველთაო კონფედერაციისა.

მე მრწამს, რომ გამოვსთქვამ მთელი ჯგუფის აზრს, როცა ვაცხადებ, რომ, თუმცა რევოლიუცია, ცხადია, არ წარმოადგენს მხოლოდ და მარტო კატასტროფიულ აქტს, რომლისაც აგრე რიგად ეშინია ჟუოს, თუმცა ყოველი დამთავრებული რევოლიუცია წარმოადგენს მთელს ციკლს, რომელსაც მივყავართ ახალი წესწყობილების დამკვიდრებისაკენ, მაგრამ მეორე მხრით, არც შეიძლება რევოლიუცია დამთავრდეს, თუ ის არ იწყება თავდაპირველათ კატასტროფიული პერიოდით, რომლის დროსაც ხდება ლანგრევა დასაღუპავად გან-

წირული წესწყობილებისა ცოტათ თუ ბევრათ ძალდატანებითი გზით იმის და მიხედვით, თუ რა ზომის ენერგიით იჩენს წინააღმდეგობას ეს განწირული წესწყობილება.

აზრი ასეთი ნელის, მშვიდობიანის და კანონიერი რევოლიუციის შესახებ, დაგვირგვინებული პრუდონის ფორმულით: „სახელოსნო აიძულებს მთავრობას გაჰქრეს“—ო, ერთის შეხედვით საუცხოვო რამ კარგია. მართლაც, რა საჭიროა თავის შეწუხება დაძველებული შენობის დანგრევაზე, შენობის, რომელმაც, შეიძლება, წაქცევის დროს თავის ნანგრევებში დაასამაროს კიდეც მთელი საზოგადოება,—რა საჭიროა ეს, თუ კი შესაძლებელია ყოვლათ „ურისკოდ“ და გაურჯელად, თან და თანობით შევსცვლით ყველა ძველი აგურს ახლითა? რისთვის მაინცა და მაინც დაუყოვნებლივ ჩამოვართვათ მის პატრონს ეს სახლი, თუ კი მშვენივრად მოხერხდება მასთან ერთად ცხოვრება შიგ, ხოლო როცა ამისი დრო დადგება,—შეგვეძლება უდავიდარაბოთ დავითანხმოთ ის, რომ თვითონ დატოვოს ახალ გეგმაზე გაშენებული, მოხერხებული სახლი?

მთელი უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ ეს აზრი სამაკდუროო მირაჟია, სახიფათო უტოპიაა.

საზოგადოების განვითარება მართლაც რომ განსაცვიფრებელ ანალოგიას წარმოადგენს გვართა წარმოშობის მოვლენებთან. მსგავსად ადამიანის ჩანასახისა, საზოგადოების ჩანასახიც თავდაპირველად ყოველივე აუცილებელ პირობას და ნივთიერებას თავის განვითარებისათვის იმ წრეშივე ნახულობს, რომელმაც წარმოშვა ის.

მაგრამ ქვეყნად ახალი არსების მოვლინებისათვის საჭიროა ორსულობა დაბოლოვდეს მშობიარეობით; ე. ი. ძალდატანებითი რევოლიუციით. როცა დამოუკიდებელი აქტიურობით მცხოვრები უჯრედები განვითარდებიან ორგანიზმში და ამასთანავე თვით ორგანიზმის ანგარიშზე, მათ აუცილებლად უნდა დასტოვონ ის განვითარების განსაზღვრულ მომენტში, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონაც მოკვდებიან და თვით ორგანიზმის სიკვდილის მიზეზიც შეიქნებიან. რაც შეეხება საზოგადოების ფორმათა შეცვლას, გამოცდილება გვაჩვენებს (ეს სხვათა შორის სავსებით დასაბუთებული აქვს კ. რადეკს თავის წიგნაკში: „მეცნიერებიდან მოქმედებაზე“), რომ მოძღვრება კაპიტალიზმის სოციალიზმში მექანიურად გარდასვლის შესახებ ნამდვილი ქიმერაა და სავსებით ეწინააღმდეგება ისტორიის მატერიალისტურად გაგებას. კაპიტალიზმამდე არსებული საზოგადოებრივ წესწყობილების სისტემები გაჰქრენ უმალ, ვინემ საბოლოოდ დამკვიდრდებოდენ ახალი წესწყობილების საფუძველნი და ისინი ხელათ დაინგრენ, თუ წამს სერიოზულად დამაბრკოლებელნი შეიქნენ ამ ახალი წესწყობილების ელემენტთათვის.

ჩვენს დროში საკმარისი არ არის—პრუდონი დაუპირდაპიროთ მარქსს საზოგადოების განვითარების ამ ისტორიული კანონის მნიშვნელობის გასაბათილებლად.

სხვებრ, ცხადია, რომ პრუდონის ამ განყენებული ფორმულის—„სახელოსნო აიძულებს მთავრობას გაჰქრესო“—გამოკლებით ნეო-რევოლიუციონიზმი ჟუოსი წარმოადგენს მხოლოდ ლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ფრაზას, რომელზედაც ტყვილა უბრალოთ არის მიკერებული ეს ფორმულა, და გონება უარს ამბობს გაიგოს, თუ როგორ თავსდება ერთათ ეს ორი ნაწილი.

თქვენ უარსყოფთ ძალადობას—ძალიან კარგი! ჩვენ თვითონ კიდევ მეტათ, ვინემ სხვა ვინმეს, გვეჯავრება ის, და საერთოთ, არც ერთ ადამიანს, რომელიც კი ღირსია ადამიანათ იწოდებოდეს, არ უყვარს ძალადობა ძალადობისთვის. თქვენ გსურთ რევოლიუცია ისე მოხდეს, რომ მას არ ახლდეს თან არავითარი კატასტროფიული აქტი—ძალიან კარგი! მაგრამ ჩვენ ძლიერ გვინდა ვიქონიოთ რამოდენიმედ უფრო ნათელი წარმოდგენა იმ პროცესზე, რომლის შედეგიც იქნება „სახელოსნოს მიერ მთავრობის ადგილის დაჭერა.“ სრულიად —გულწრფელად და დამშვიდებით მივმართავ ჟუოს და დაჟინებით მოვუწოდებ უფრო გარკვევით გამოსთქვას თავისი აზრი ამ კითხვაზე, რომელსაც ის აქნობამდე მუდამ ჩრდილში სტოვებს.

ჩვენს შორის ხომ არავითარი აზრთა სხვა და სხვაობა არ არის იმ მიზნის შესახებ, რომლისკენაც ჩვენ მივილტვით?

საზოგადოების დაფუძნება მხოლოდ და მხოლოდ წარმოებაზე—ეს კ. მარქსის აზრი იყო. ამ ჟამად ამ აზრის გამომხატველია ლენინი. თუ გნებავთ დარწმუნდეთ ამაში, საკმარისია წაიკითხოთ მისი სიტყვა, რომელიც მან მოსკოვში წარმოსთქვა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გახსნის დროს. მაგრამ ეს ორი ადამიანი უცილობლათ უფრო მაღლა სდგანან, ვინემ პრუდონი და... ჟუო; პირველი იმიტომ, რომ მან მეცნიერული გზით აღმოაჩინა პირობები პროლეტარიატის გამარჯვებისა, ხოლო მეორე იმითი, რომ მან შესძლო განესაზღვრა მომენტი სოციალიზმის პრაქტიკულად განხორციელებისა.

კ. მარქსმა გენიოსურად დაგვანახვა კაპიტალიზმის განვითარება, რასაც მივყევართ (ჭეშმარიტ) რევოლიუციასა და პროლეტარიატის დიქტატურამდე, წინასწარ ნათელ ჰყო შინაარსი კაცობრიობის ისტორიის მთელი ფურცელისა, და მისი წინასწარ ხილვა გაამართლა ნამდვილმა ამბებმა.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანს იმ აზრის განსავითარებლად, რომელიც მან მეტად მოკლეთ გამოსთქვა ნაციონალური კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე, უნდა დაეწერა ახალი ფურცელი და დაემტკიცებინა, რომ მარქსის მიერ დაწერილი ფურცელი უკვე აღარ გამოხატავს სინამდვილეს.

მას უნდა ემცნო ჩვენთვის, თუ როგორ შეიძლება, რომ კლასთა ურთიერთ შორის თანამშრომლობამ, რომელსაც მიმართავენ ხოლმე მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ ამდენ ხანს ასეთი ცდები ყოვლად უნაყოფო რჩებოდენ,—როგორ შეიძლება რომ ეს მომავალში დაგვირგვინდეს რაიმე სიკეთით ისე, რომ ამ კლასმა ასეთ თანამშრომლობაში მოიპოვოს საშვალება სრულიათ განთავისუფლებისა?

როგორ შეიძლება, რომ პროლეტარიატმა იძულებით წაიყვანოს ბურჟუაზია სულ ახალსა და ახალ დათმობებზე და ამით შესცვალოს კაპიტალისტური წყობილება ისეთ წესწყობილებათ, რომელშიაც აღარავითარი ადგილი აღარ დაურჩება არც კლასებსა და არც სახელმწიფოს?

როგორ აქვს მას წარმოდგენილი გარდაქცევა კაპიტალისტური დემოკრატიისა და მისი ბატონობის ყველა ორგანოთა,—ეკონომიურის, ადმინისტრატიულის, პარლამენტარულის, კონსტიტუციონურის და არაკონსტიტუციონურის, სასამართლოების, პრესის ორგანოების,—ყველა ამეების ძლევამოსილი პროლეტარიატის ორგანოებათ?

დავუშვათ დასასრულ, რომ ყველა ეს შესაძლოა. მაგრამ როდის, რა ვადაში, დაახლოვებით რომ ვსთქვათ, მოხდება ეს ჯადოსნური და იდილიური მეტამორფოზა, და დამთავრდება ისე, რომ მათ მართლაც მოახდინეს რევოლიუცია.

ამ კითხვებზე საჭიროა პასუხის გაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება იმისი აღიარება, რომ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს ისინი ძალიან უწევენ ანგარიშს ცხოვრების სინამდვილეს, ხოლო ჩვენ ჰაერში ვფრინავთ, და რომლებიც განუწყვეტლივ გვჭიკჭიკებენ—უნაყოფო დემაგოგიას ვწევითო, ამ ადამიანებს თვითონ არ ძალუძთ ამაღლ[...] პროლეტარიატის ბედის ჭეშმარ[...]ებაძდე.

მთარგ. ი. ხილოვანიძე.

## ადგილობრივი პრესა

ვის აქვს დახარჯული ზღვა მელანი და ტბა ოფლი ავტონომიის ცნების შინაარსის და ფარგლების გასარკვევათ? რასაკვირველია ჩვენს ფედერალისტებს. ვინ გოდებდა და მოთქვამდა ღაღადებდა და უხმობდა „ყველა კლასებს“ საქართველოს ავტონომიაზე? რაღა თქმა უნდა ჩვენი ფედერალისტები. ვინ შედიოდა როლში და ფანატიკოს დარვიშივით გაიძახოდა, რომ ავტონომია და მხოლოდ ავტონომია არის ერთად ერთი ფორმა ხალხის თუ ტომის წინ წამწევი, თან სამართლიანი და ყოველთვის და ყველასათვის მისაღები ფორმა ეროვნულ თვითმართველობისა? ისევ და ისევ ჩვენი ფედერალისტები. მარა ისტორიის ბედნიერათ გაცინებამ მათ ავტონომია კი არა, საქართველოს სრული დამოუკიდებლობა მიანიჭა. და განა ვის უნდა შეპარებოდა ეჭვი, რომ ვისაც რა უნდა ეთქვა ან ექნა, ჩვენი ფედერალისტები ყოველ შემთხვევაში, ფალავნობას განაგრძობდენ ამ საკითხში. მარა—დალახვრის ღმრთომა იცის და ზოგი თონთლოთ გაჩენილი „პარტიაც“—ფედერალისტებმა განაცხადეს-ჯერ არ დამდგარა დრო ავტონომიების და ფედერაციებისო. მხოლოდ განაპირმა კუთხეებმა არ ისმინეს ასეთი ბრძნული საბუთი ბრძენთა ბრძენთაგან შემდგარი პარტიის, გამუდმებულმა არეულობამ აფხაზეთში ახალციხე და ბათუმის მხარეში და სხ. იძულებული გახადა მთავრობაც კი ოფიციალურათ დაპირებოდა პერიფერიებს ფართო ავტონომიას. კაი ხანია კანონმდებლობის დღიურ წესრიგში ჩასმულია ეს საკითხი, და აი ამ საკითხის ერთი უდიდესი იდეოლოგთაგანი, ავტონომის ნაფიცი დამცველი დროულათ თვლის აი ასეთი მუჯლუგუნი გაკრას ფედერალისტების პროგრამის სულსა და გულს,

„ავტონომიას ვერ წარმოვიდგენთ განყენებულად და მისი ინტერესი უთუოდ უნდა შეუთანხმდეს სახელმწიფოს ერთობის ინტერესს. ქართველი ხალხის ეროვნული უფლება ჩვენმა პარტიამ დაიცვა უპირველესად, მაგრამ როდესაც ჩვენ ვგულისხმობდით რუსეთის სახელმწიფოს დემოკრატიულ ფედერატიულ საფუძველზე გარდაქმნას, არ მოგვითხოვია ისეთი შეუზღუდველი ავტონომია საქართველოსთვის, როგორსაც ზოგიერთი მოითხოვს დღეს ჩვენი რესპუბლიკისაგან. ამის მომთხოვნელთ ავიწყდებათ, რომ საქართველოს საავტონომიო ნაწილები არ განთვისდებიან დანარჩენ საქართველოსაგან ისე, როგორც საქართველო განთვისდებოდა რუსეთისაგან. შემდეგ—რუსეთი უზარმაზარი თვალშეუწვდენელი სახელმწიფო იყ[ო], საქართველო კი ძლიერ პატარაა, ისე პატარა, რომ ერთს დღეს შეგიძლიათ გადაიაროთ მის სიგრძე-სიგანე. გარდა ამისა ჩვენს რესპუბლიკაში შეერთებულია ფართო წმინდა დემოკრატიული საქალაქო და საერობო თვითმართველობა, რომელიც თავის თავად ზღუდავს სახელმწიფოებრივ ცენტრალიზმს...

ამისთანა პირობებში არაა მიზან შეწონილი—ეს არ შეესაბამება არც თვითონ განაპირა და არც მთელი სახელმწიფოს მოთხოვნილებას, რომ ჩვენში დაწესებულმა ავტონომიებმა მიღ[...] გადაჭარბებული სახელმწიფ[...] სიათი და რაიმე სეპარაციას მსგავ[...] ჩაისახონ თავის არსებობაში. ავტონო[...] უნდა დაწესდეს ადგილობრივ აუცილ[ე]ბელ საჭიროების მტკიცე ფარგალში [...] ოდნავადაც ამან არ უნდა დაარღვი[ოს] სახელმწიფოს მთლიანობა“.

„ადგილობრივ აუცილებელ საჭიროების მტკიცე ფარგალი“—ეს ხომ ეროვ[...] ფარგალია, და უკანასკნელი სიტყვა[...] სახელ განთქმულ ფედერალისტურ პა[რ]ტიისა ავტონომიის კომპეტენციის საკ[ი]თხში არის—ეროვბა. აი რისთვის „უბ[...] ძოლია“ ამ პარტიას, აი რისთვის და[...] დნარა სანთელივით მათი მასწავლებე[ლ] არჩილ ჯორჯაძე!

* * *

ფედერალისტებს ადგილობრივათა[...] გამოსჩენიათ გავლენიანი თანამოაზრე[...] ეს გახლავთ აჭარის თავადი ჯემალ ბე[გ] ხიმშიაშვილი, რომელსაც ბათუმის მ[ო]ტოვების დღეებში ჩვენებური მამული[...] შვილები ანძუხზე ასაცმელათაც არ და[...] ზოგავდენ, დღეს კი ეს ბეგი, მგონი გე[...] ნერლის ჩინამდის ამაღლებული, უკვ[ე] „ცნობილი საზოგადოებრივ და პოლიტ[ი]კურ მოღვაწეთაა“ მიჩნეული და მას ინტერვიუსაც კი უკეთებენ. ავტონომიას[...] თან ისიც გამწყრალი ყოფილა ბოლ[ო] ხანს. დეპეშათა სააგენტოს კორესპონ[...] დენტს ის სხვათა შორის ეუბნება:

„ამჟამად მე შემიძლია კატეგორიულათ განვაცხადო, რომ აჭარა ლოიალურად არის განწყობილი თავის მოძმ[ე] ქართველებისადმი. როდესაც გსურთ, მაშინ დავამტკიცებ, რომ აჭარას არც წინეთ სურდა და არც ეხლა სურს ავ[...] ტონომია, როგორც ამას ზოგიერთი პ[...] რები მას თავს ახვევენ. ბათუმში მყო[...] ზოგ მუსულმან მოღვაწეთა განცხადებ[ა] აჭარის ავტონომიის შესახებ ხალხ[...] მხარს არ უჭერს. ამგვარათვე უფლებ[ა] არა აქვს ხალხის სახელით ილაპარაკო[ს] ბათუმის მეჯლისმა, რომელიც დემოკრა[...] ტიულ საარჩევნო სისტემით არ არი[ს] არჩეული. ბათუმის მეჯლისი დაუყოვნე[...] ბლივ უნდა იქმნას გაშვებული. აჭარი[...] არა სურს ავტონომია და იგი საქართვ[...] ლოს უერთდება, როგორც მისი განუ[...] ყოფელი ნაწილი. მაგრამ აჭარა საერთ[ო] კეთილდღეობის მიზნით ითხოვს, რომ მას მიეცეს ცხოვრების ისეთი უფლ[...] ბანი, როგორიც მას სურს და მ[...] თვის საჭიროა. აჭარელთა სურვილე[...] შემდეგია: ხალხის სარწმუნოებრივი ცხ[ო]ვრების ხელშეუხლებლობა, შკოლა[...] გახსნის უფლება. ამ შკოლაში ხალ[ხ] უნდა ასწავლოს თავის შვილებს იმგ[ვა]რათ და იმ ენაზე, როგორც ეს მას მ[...] ესურვება. აჭარლები თვით მოითხოვ[...] ქართულ ენაზე სწავლებას, რადგან მ[...] ოჯახებში მხოლოდ და მხოლოდ ქა[რ]თულ ენაზე ლაპარაკობენ. ამას გარ[...] სასურველია ტფილისში გაიხსნას უმაღ-

ნ. ლენინი.

# „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში.

—:—

**რედაქციისაგან.** ამ სათაურით გამოვიდა ერთი თვის წინეთ ქ. მოსკოვში ნ. ლენინის უკანასკნელი შრომა, ბროშურის სახით. ვაწვდით ამხ. მკითხველთ თარგმანს, აქა-იქ ცოტაოდენი შემოკლებით.

—:—

### I.

**რა აზრით შეიძლება ლაპარაკი რუსეთის რევოლიუციის საერთაშორისო მნიშვნელობაზე?**

რუსეთის პროლეტარიატის მიერ პოლიტიკურ ძალაუფლების დაპყრობის პირველ ხანებში შესაძლებელი იყო ფიქრი, რომ იმ უდიდეს განსხვავებების გამო, რომელიც არსებობს ჩამორჩენილ რუსეთსა და მოწინავე დასავლეთ-ევროპის ქვეყნებ შუა, იქაური პროლეტარიატის რევოლიუცია სულ ნაკლებათ ეგვანებოდა ჩვენსას. ამ ჟამათ ჩვენ წინ უკვე არის საკმაოთ გვარიანი საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც სრული გარკვეულობით გვეუბნება, რომ ჩვენი რევოლიუციის ზოგიერთ ძირითად თვისებებს აქვთ არა ადგილობრივი, არა ნაციონალურ-თავისებური, არა მარტო რუსეთული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა. მე, აქ ვამბობ საერთაშორისო მნიშვნელობაზე არა ამ სიტყვის ფართო აზრით: ზოგიერთი კი არა, ყველა ძირითადი და მრავალი, მეორე ხარისხოვანი თვისებებიც ჩვენი რევოლიუციისა მატარებელი არიან საერთაშორისო მნიშვნელობის, რადგან ყველა გავლენას ახდენენ დანარჩენ ქვეყნებზე. არა, მე ვხმარობ ამ სიტყვას ვიწრო მნიშვნელობით: საერთაშორისო მნიშვნელობის ქვეშ მე ვგულისხმობ საერთაშორისო ღირებულებას ანუ ისტორიულად აუცილებლობას საერთაშორისო მაშტაბით განმეორებისას ყველა იმისა, რაც ჩვენში მოხდა. ასეთი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რევოლიუციის ზოგიერთ ძირითად თვისებებს.

რასაკვირველია, უდიდესი შეცდომა იქნებოდა ამ ჭეშმარიტების გაზვიადება, მისი გავრცელება ჩვენი რევოლიუციის ყველა, და არა რამდენიმე ძირითად თვისებებზე. აგრეთვე შეცდომა იქნებოდა მხედველობიდან გაგვეშვა, რომ პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ თუნდა ერთ დაწინაურებულ ქვეყანაში, ალბათ გარდატეხა მოხდება: არ გაივლის დიდი ხანი რომ რუსეთი სამაგალითო ქვეყნისგან ხელახლა ჩამორჩენილ ქვეყნათ იქცევა („საბჭოთა წყობილების“, სოციალისტური აღმშენებლობის მიხედვით).

მარა ახლანდელ ისტორიულ მომენტში საქმის ვითარება ისეთია, რომ სწორეთ რუსეთის მაგალითი აჩვენებს ყველა ქვეყნებს ცოტა რამეს, და თან ძირითადი მნიშვნელობის მატარებელს, მათი აუცილებელ და სულ ახლო მომავალიდან. მოწინავე მუშებს ყველა ქვეყნებში დიდიხანია შეგნებული აქვთ ეს—უფრო ხშირათ კი იმდენათ შეგნებული არ აქვთ, რამდენათ ნაგრძნობი, შეთვისებული რევოლიუციონური კლასის ინსტიქტით. აი აქედან წარმოსდგება საერთაშორისო „მნიშვნელობა“ (სიტყვის ვიწრო აზრით) საბჭოთა ძალაუფლების, და აგრეთვე ბალშევიკურ თეორიის და ტაქტიკის საფუძვლების. ეს ვერ გაიგეს მეორე ინტერნაციონალის „რევოლიუციონურ“ ბელადებმა, როგორც კაუცკიმ გერმანიაში, ოტტო ბაუერმა და ფრიდრიხ ადლერმა ავსტრიაში, და სწორეთ ამიტომაც აღმოჩნდენ ისინი რეაქციონერები, დამცველები ყველაზე უარეს ოპორტუნიზმის და სოციალ-გამცემლობის...

აქ აღსანიშნავია მხოლოთ ერთი რამ: მას-ჟამსა შინა, როცა კაუცკი ჯერ კიდევ მარქსისტი იყო და არა რენეგატი, მან მიუდგა საკითხს როგორც ისტორიკოსმა და წინასწარ განსჭვრიტა შესაძლებლობა ისეთი მდგომარეობის, როცა „რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონერობა სამაგალითო და მისაბაძი გახდებოდა დასავლეთ ევროპისათვის. ეს იყო 1902 წელში, როცა კაუცკიმ მოათავსა რევოლიუციურ გაზ. „ისკრა“-ში სტატია: „სლავიანები და რევოლიუცია“, აი რას სწერდა ის ამ სტატიაში.

„ახლანდელ დროში (წინააღმდეგ 1848 წლისა) შეიძლება ვიფიქროთ, რომ არა მარტო სლავიანები ჩადგენ რევოლიუციურ ხალხთა წრეში, არამედ სიმძიმის ცენტრიც რევოლიუციური აზროვნების და რევოლიუციური საქმის სულ უფრო და უფრო გადადის სლავიანებისკენ. რევოლიუციური ცენტრი დასავლეთიდან-აღმოსავლეთისაკენ მიიმართება. მე-19 საუკუნის პირველ-ნახევარში ის საფრანგეთში იყო; ხანდახან კი ინგლისში. 1848 გერმანიამ ფეხი შედგა რევოლიუციონურ ერთა მწკრივში... ახალი საუკუნე ისეთი მოვლენებით იწყება, რომ საფიქრებელია რევოლიუციონური ცენტრის ხელახალი გადატანა, სახელდობ: მის გადატანა რუსეთში... რუსეთი, რომელმაც შეითვისა ესოდენი რევოლიუციონური ინიციატივა დასავლეთისგან, ახლა, შესაძლოა თითონა მზათ გახდეს მისთვის რევოლიუციონური ენერგიის წყაროთ. რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც თანდათან ჩაღდება, შეიძლება გადაიქცეს უძლიერეს საშუალებათ იმ თონთლო ფილისტერობის და ჭკუადამჯდარ პოლიტიკანობის სულის გამოსაწვავათ, რომელიც ვრცელდება ჩვენს წრეებში; ის ხელახლა აიძულებს პრიალა ალით ავარდეს ბრძოლის წყურვილმა და ჩვენს უდიდეს იდეალისადმი თავდავიწყებულმა ერთგულებამ. რუსეთი დიდი ხანია აღარ არის დასავლეთ-ევროპისათვის უბრალო ბურჯი რეაქციის და აბსოლიუტიზმის. თითქოს, პირიქით, სულ წინააღმდეგს ვხედავთ: დასავლეთი ევროპა ხდება ბურჯათ რეაქციისა და აბსოლიუტიზმისა რუსეთში...

შესაძლებელია, რუსეთის რევოლიუციონერები დიდი ხნით ადრე გაუსწორდებოდენ თავის მეფეს, მათ რომ იმა[...] დროს არ უხდებოდეთ ბრძოლა მის მო[...] კავშირეთანაც—ევროპის კაპიტალთა[...] იმედი ვიქონიოთ, რომ ახლა მაინც ის[ი]ნი შესძლებენ ბოლო მოუღონ ორი[...] მტრებს, და რომ ახალი „სღვთო კა[ვ]შირი“ უფრო ადრე დაემხობა, ვინ[...] მისი წინაპრები. მარა, როგორც ა[...] უნდა გათავდეს აწინდელი ბრძოლა რუ[...] სეთში, სისხლი და ტანჯვა-წვალება [...] წამებულთა, რომელსაც, სამწუხაროთ[...] ეს ბრძოლა მრავლათ წარმოშობს, ფუ[...] ჭათ არ ჩაივლის. ის განაყოფიერებ[...] მთელს განათლებულ მსოფლიოში სო[...] ციალური გადატრიალების ნათესს, აი[...] ძულებს იზარდოს სწრაფად და მრავალ[...] ფეროვანათ (пышнее). 1848 წ. სლავია[...] ნები წარმოადგენდენ მკაცრ ყინულია[ნ] სიცივეს, რომელმაც გაანადგურა ხალხთ[ა] გაზაფხულის ნათესი. შესაძლებელია [...] ლა ისინი იქცევიან იმ ქარიშხლათ, [...] მელიც დალეწავს რეაქციის ყინულს [...] შეუკავებლათ მოუტანს ხალხებს ახალ[...] ბედნიერ გაზაფხულს“. (კ. კაუცკი „სლა[...] ვიანები და რევოლიუცია“, რუსეთი[...] რევოლიუც. სოც.-დემ. გაზეთი „Искра“ №18, 10 მარტი, 1902 წ.).

რა კარგათ სწერდა კარლ-კაუცკი 18[...] წლის უკან.

(შემდეგი იქნება)

ლესი სამუსლიმანო სასულიერო სასწავლებელი მოლების მოსამზადებლათ. სამოსამართლოც საქმეები უნდა სწყდებოდეს შარიათით. აგრარული საკითხი აჭარაში უკვე გადაწყვეტილია და ამიტომ სასურველია შიგ არ იქნეს შეტანილი რაიმე სერიოზული ცვლილება".

აგრარული საკითხი უკვე გადაჭრილია, ავტონომია არც წინათ უნდოდა არავის და არც ახლა უნდა, აი თბილისში თუ მოლების აკადემიას გახსნით, ეს ძლიერ კარგი იქნება და სხ...—აი ჩვენებურ „გამოჩენილ მოღვაწეების", ასე ვსთქვათ, მირაბოების რევოლიუციონური პროგრამა.

* * *

ამას წინათ „ერთობა-ბორბა"-მ და მათ მიყოლით თითქმის ყველა აქაურმა გაზეთებმა ბინძურ საცვლებში ააფათურეს ხელი, ვიღაც სმირნსკის წერილი (თუ კი იყო მართლა ასეთი) მის მაგიერ, რომ მისამართით ჩაებარებიათ, გაზეთის ფურცლებზე გამოაკრეს და მის გარშემო ველურთა დავლური დაყარეს. „ერთობამ" ვერ შეიკავა ბოლომდის თავი, და ელოვნურათ შექმნილ სერიოზობიდან თავის ჩვეულებრივ კომიკურ ამპლუაზე გადახტა: მან დარიგებით მიჰმართა... კიროვს! გაზეთი სწერდა:

„ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ ბ. კიროვი არის პასუხისმგებელი ყველა იმ წერილისათვის, რომლებიც მას მოსდის კომუნისტურ ქურქში გახვეულ იმპერიალისტებისაგან და გუშინდელ შავრაზმელებისაგან. მაგრამ სმირნსკის წერილი თვით ბ. კიროვისათვისაც კარგი გაკვეთილია: ამ წერილიდან მან უნდა დაინახოს, რა ჯურის ხალხი ცდილობს რუსეთის და საქართველოს გადამტერებას და მათ შორის ზავის დარღვევას.

როგორც სჩანდა, კიროვს „არ მოსვლია" ის წერილი, რომელიც „ერთობის" საჩიჩქნათ გამხდარიყო და რომლის გამო დემოკრატიის სინდისი ნოტაციების კითხვას აბედვინებდა გაზეთს ნამდვილ და არა „შემთხვევით" ადრესატისთვის.

ახლა ხელახლა შემთხვევა მისცემია თავაზიანობას მიჩვეულ გაზეთს გუვერნანტკობა იკისროს და ცოტაოდენი ცრემლი დაღვაროს იმის გამო, რომ ყველა წერილები კიროვის, და ყველა ნათქვამი რუსეთის მისსიის კედლებ შუა არ მიდის პირდაპირ „ერთობის" რედაქციაში. ადგილობრივათ გემის გაჩხრეკამ არ დაადასტურა კიროვის ნოტის ცნობა, რომ ბათუმიდან ახლაც იხიზნებიან დენიკინელები რა ყირიმში გადადიანო—ე. ი. რომ ახლაც ისე და იმ გზით მიდიან, როგორც და გზითაც გენერალ ერდელი და მრავალა მისი თანამოსამსახურე წავიდენ. „ერთობა" მოწინავე წერილს უძღვნის ამ შემთხვევას და სწერს:

„ბ. კიროვისათვის ეს ინცინდენტი, კარგი გაკვეთილია: რაკი აღნიშნული ფაქტები მთელი ნოტის საგნათ გახდა, ეს იმის უწყებულია, რომ ბ. კიროვი მტკიცეთ დაურწმუნებიმთ, რომ ამ ფაქტებს მართლა ჰქონდათ ადგილი. მაგრამ რამდენი ისეთი ფაქტი მისდის ბ. კიროვს, რომლებიც დღის სინათლეს ვერ ხედავენ, რომლებიც საბჭოთა რუსეთის მისიის კედლებს არ სცილდებიან, რომელთა გაბათილებაც ამიტომ შეუძლებელი ხდება და რომლებიც სწამლავენ ატმოსფერას და არყევენ საბჭოთა რუსეთის და საქართველოს ურთიერთობას".

ატმოსფერის მომწამვლელები და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემრყეველები „ერთობამ" უფრო თავის გარშემო უნდა დაინახოს.

**გაუმარჯოს მშრომელთა მსოფლიო გაერთიანებას მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ!**

# ინტერნაციონალის გარშემო.

გაგრძელება (იხ. „ახ. კომუნისტი" № 4).

თქვენ ხანდისხან გვისაყვედურებთ იმას, რომ ჩვენ ვაფუჩეჩებთ ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის აუცილებელ საჭიროებას მით, რომ ვლაპარაკობთ სოციალიზაციაზე. ჩვენ არ გვსურს განვაახლოთ დაძველებული და დახავსებული დავა ამ თემის შესახებ, მით უმეტეს, რომ ინტერნაციონალის სექციებში საკითხი სასყიდელის შესახებ საკმარისად იყო გარჩეული. საკმარისია თქმა, რომ ყველა ხალხების თანამედროვე ფინანსიური მდგომარეობის დროს ეს საკითხი არსებითად უქმია. ჩვენ ჩვენი სოციალისტური პროგრამის ერთგული ვრჩებით და მოვითხოვთ მსხვილი მიწადმფლობელობის და სამრეწველო და სატრანსპორტო კაპიტალიზმის ყველა საწარმოო საშვალებების ექსპროპრიაციას და კონფისკაციას.

ერთი სიტყვით რევოლიუციონურ სოციალიზმის არც ერთ წარმომადგენელს არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ მუშათა კლასის უახლოესი მიზანი უნდა იყოს ექსპროპრიაცია ან და როგორც ჩვენ ვეძახით; კონფისკაცია. ერთადერთი საშვალება ამის მისაღწევათ, რასაკვირველია, ძალდატანება სამოქალაქო ომის მიერ გამოწვეულ ყველა შედეგებით, მასთან ერთად, უმთავრეს იარაღათ, რასაკვირველია უნდა იყოს პროლეტარიატის დიქტატურა. რუსეთში ეს საკითხი პრაქტიკულად უკვე გადაიჭრა საბჭოთა რეჟიმის სახით.

თქვენ სრულიად სამართლიანად გვითითებთ ჩვენ, რომ საკმარისი არ არის ყველა ამ, რუსეთის რევოლიუციის მიერ ხორცშესხმულ პრინციპების სიტყვიერი აღიარება, სიტყვები გამართლებულ უნდა იქნეს მოქმედებით—ამას ჩვენ სავსებით ვეთანხმებით. ჩვენ სრულიადაც არ გვსურს უარვყოთ ჩვენი ტაქტიკის სისუსტე და არა, საკმარისობა წარსულში. უდაოა რომ ჩვენ მუდამ ვიბრძოდით ჩვენი ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ყოველ რევოლიუციონურ ამოქმედების დროს ვცდილობდით ბოლომდე შეგვენარჩუნებია ყველა მისი მონაპოვარი. მაგრამ თქვენ მართალი ხართ თქვენი თვალსაზრისით, როდესაც ჩვენ გვისაყვედურებთ იმას, რომ არ გამოვიჩინეთ საკმარისი ენერგია და ძალა, რუსეთის მუშის და გლეხის გაჭიანურებულ და არაჩვეულებრივ ტანჯვის პირის წინ, ჩვენ გვესმის თქვენი სიბრაზე და საყვედურები: ჩვენი კარგი მოვალეობა იყო თავის დროზე დაგვხმარებოდით თქვენ და ჩვენ არ აღმოგვიჩნდა გაბედულება შეგვესრულებია ეს ძმური მოვალეობა. სწორედ ასევე ჩვენი პარტიის ყოველდღიური ტაქტიკიდან სამართლიანად შეგვიძლია მოვითხოვოთ მეტი გამბედაობა, მეტი გარკვეულობა, მეტი რევოლიუციონერობა. მოკლეთ ვსთქვათ, ჩვენ უნდა წავსულვიყავით იმ გზით, რა გზითაც წავიდა რუსეთი, სადაც გამარჯვებულია პროლეტარული რევოლიუცია.

კონგრესის საერაშორისო მნიშვნელობის გარდა ჩვენი ჩამოსვლა მოსკოვში ნათლად გვაჩვენებს ყველა იმ ჭეშმარიტებას, რომლებსაც ჩვენ ვითვისებდით, შეიძლება, მეტად თეორეტიულად. ჩვენ დავბრუნდებით ჩვენს სამშობლოში, საფრანგეთში მტკიცე გადაწყვეტილებით მოვამზადოთ ჩვენი პროლეტარიატი ბრძოლის იმ გმირულ მეთოდების შესასწავლათ, რომლებმაც საშვალება მისცეს რუსეთის მუშათა კლასს ჩაეგდო თავის ხელში ძალა-უფლება, შეენარჩუნებია ის და ძველი რეჟიმის ნაიგრევებზე საფუძველიმდაედვა ახალ სოციალურ წყობილებისათვის, რომლის მთელი სიდიადე იშლება ჩვენს თვალწინ ამ წუთში.

ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგებმა უკვე გამოსთქვეს თავისი სოლიდარობა მოსკოვის პროგრამასთან სრულ ძმურ ერთიანობაში მასთან, ჩვენ მოვანდომებთ ჩვენს ძალღონეს იმას რომ მთელმა საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ გადასწყვიტოს მიემხრობა მესამე ინტერნაციონალს. ჩვენ მოვითხოვთ არა ჩვეულებრივ პარტიულ ყრილობის მოწვევას იმისთვის, რომ გავაცნოთ ის კომუნისტურ ინტერნაციონალის კონგრესის დადგენილებებს ჩვენ გთხოვთ თქვენ, ამხანაგებს, მიიღოთ ჩვენი გულწრფელი რწმენა იმისი, რომ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც მზადა ვართ ჩვენ და ეს მაგრად გვაქვს ჩაბეჭდილი გულში, მზათ ვართ ვიბრძოდეთ სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დრომოჭმულ კაპიტალიზმთან.

# გლეხის სიმღერა.

**შვების ზარი.**

ირეკება შვების ზარი!  
ისმის რეკა, ისმის წკარი.  
მთლათ სამყაროს მთა და ბარი  
მისგან ყურობს, მით დამტკბარი.  
დღემდის უტყვი ჩუმათ მდგარი,  
აწ შეირხა სიო წყნარი,  
ვით შიკრიკი წინასწარი,  
ერთგული და დაუზარი,  
ეს შიკრიკად ვევქობ არი,  
შვების ღმერთით მონაძღვარი,  
რა მიმოავლო მთლად მთაბარი.  
ამცნოთ ზესთა დანაბარი.  
მთის ნაკადიც ცქვიტი ჩქარი,  
მილიკლიკე, მოუბარი,  
თითქოს გვეტყვის პირ მღიმარი:  
თენდებაო, ეს-ეს არი.  
ყვავის ვარდი, ბაღში მდგარი  
გალობს, მღერის ბულბულთ ჯარი.  
აქ ხუმრობა აღარ არი  
ზეიმია უებარი.  
მეც მომესმა ხმა ნეტარი  
რამ გამკურნა ცოცხალ-მკვდარი  
მოვიზიდე ჩემი თარი,  
ეს ერთგული მეგობარი!  
ვუკრამ, ვმღერი ჰარი-ჰარი!  
გათენდება საცა არი!

**გ. მირინაშვილი.**

ს. ანაგა.

# სოფელი და მიწის მუშა.

**საზღვარ გარეთ**

**პოლონეთის სოფელი.**

შემოდგომის 1919 წელს ბოგანოთა გაფიცვის სასტიკი დამარცხების შემდეგ, რომელიც პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პ. პ. ს.) ღალატის შედეგი იყო, დაიწყო პირველად ენერგიის დაცემა სასოფლო-სამეურნეო მუშებში. მაგრამ უფრო მეტად შეგნებული მუშების 60 პროც. დარჩა კავშირში, რომლებიც სხვათა შორის, მიწას კი არ ელოდენ, არამედ უნდოდათ მხოლოდ თავისი პროფესიონალური ინტერესების დაცვა). კავშირში ბატონობდენ ფრაკები (პ. პ. ს.), რომლებიც სარგებლობდენ თავიანთი ლეგალური მდგომარეობით და კომუნისტების არალეგალურობით. კავშირის გამგეობამ მთავრობის გავლენით ხელშეკრულება დასდო მემამულეებთან, რომელიც განსაზღვრავს მუშების რიცხვის ურთი-ერთობას მამულის სიდიდესთან. ამ ხელშეკრულების ძალით მემამულეებმა პირველ აპრილს ანგარიში გაუსწორეს რამდენიმე ათასს კაცს, უმთავრესად დელეგატებს და შეგნებულ მუშებს, კავშირის გამგეობა არაფერს არ აკეთებს მათი დასაცავად მოვიდენ კომუნისტებმა. ადგილობრივმა გაფიცვებმა, რომლებიც მოწყობილი იყო რამდენიმე მაზრაში, იძულებული გახადეს მემამულეები უკანვე მიეღოთ ანგარიშ გასწორებული მუშები. პეპესოვცების (პოლონეთის სოციალისტური პარტია) მუდმივი ღალატი პროფესიონალურ მოძრაობაში გავლენას ახდენს ბოგანოთა კომუნისტებისკენ აშკარა მოტრიალებაზე.

უკანასკნელი თვის განმავლობაში კომუნისტები ჩქარა პოულობენ გავლენას კავშირში. აგრარული რეფორმა, რომელიც მიღებულია სეიმის მიერ, არ ტარდება ცხოვრებაში. სრულიად არაფერი არ კეთდება მის განსახორციელებლად.

**სოფლის ელექტრ. ფიკაცია საბჭოთა რუსეთში**

კორომინსკის საზოგადოებაში, ფსკოვის მაზრაში თვით გლეხების ინიციატივით სახელმწიფოს საამშენებლო კომიტეტის დახმარებით და ხელის შეწყობით ეწყობა ელექტრონის სადგური, რომელიც გაანათებს რამდენიმე სოფელს.

**გლეხების აღელვება გერმანიაში**

გერმანიის გაზეთები აღიარებენ, რომ მკლენბურგში და პომერანიაში ემჩნევა ბოგანოებს და უმიწაწყლო გლეხებს შორის აღელვება, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდება და ფართო ხასიათს ღებულობს.

მიწის მუშები ერთდებიან რაზმებში და სულ უფრო ხშირად და ხშირად ახდენენ შეიარაღებულ თავდასხმას მემამულეებზე, რომლებიც თავიანთ ოჯახებს ქალაქებში გზავნიან და ხანდისხან თვითონაც კი გარბიან, რადგანაც სოფლის პოლიცია ვერ კისრულობს მათ დაცვას.

# დეპეშები

**ბერკონეს კორპუსი**

გერმანიაში ბერკონეს კორპუსის უკან დახევის შემდეგ, იარაღი აჰყარეს. გერმანელები მათ არა როგორც სამხედრო ტყვეებს, არამედ როგორც მოკავშირეებს ისე ექცევიან. სარდლობა რუსის გენერლის ხელშია. მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობს მრავალი ოფიცერი, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ყველა სამხედრო ხარისხი და ორდენი. ჯარის კაცებში დიდი აგიტაციაა რუსეთში მეფობის აღდგენის სასარგებლოდ. გაზეთ „ფრაიჰაიტი" მთავრობისა და საზოგადოების სერიოზულ ყურადღებას აქცევს იმ საშიშროებას, რომელსაც წარმოადგენს ასეთი სამხედრო ძალა, რომელიც პირველ შემთხვევაშივე აღმოუჩენს დიდ დახმარებას ყოველგვარ ახალ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლას და კატეგორიულად მოითხოვს კორპუსის დაშლას.

**პროფესიონალურ კავშირების დევნა რუმინიაში.**

**ბუქარესტი.** მიღებულ ცნობების თანახმად მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს მკაცრი ზომები პროფესიონალურ კავშირებისა და სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის წინააღმდეგ. მთავრობამ დაადგინა დახუროს ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი.

,,ქართველ ბურჟუას [illegible] წყარო ქართველი მუშაა. რამდენად ეს თავის მალღონისაგან იცლება, იმდენად ის მდიდრდება და სქელდება... მთელი დღევანდელი ცივილიზაცია მუშათა მეოხებით შეიქმნა, ხოლო სარგებლობა ბურჟუაზიას ერგო; საქართველოს წარმატება, გაერთიანება, უცხო ტომთა დამარცხება, კულტურული ზრდა წარმოებს ქართველი მუშის ზურგით, ხოლო სახრავი და სახელი მის ბატონ ბურჟუაზიას რჩება''.

**ნ. ჟორდანია.** მესამოცე წლების მოღვაწენი (1896).

# უკანასკნელი ცნობები

**ოპერატიული ცნობა 28 ივლისის.**

**მოსკოვი,** 29 ივლისი. გროდნოს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ენერგიული შეტევით მიაღწიეს მდ. ბერეზოვკის და დაბა იანოვის, სოკოლკა და მდ. სუპრასლის ხაზს; ხელთ ვიგდეთ ორასი ტყვე 2 ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველები და სხვ.

დაბა იანოვის რაიონში ჩვენმა კავალერიამ ამოჟლიტა ნაწილი მტრის პოლკის, ნაწილი კი ტყვედ წამოიყვანა.

ბელსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები გამოვიდა სადგ. ბელესტოფიცი-სვისლოჩის ხაზზე, წამოიყვანა ტყვეები, მათ რიცხვში ერთი გენერალი, ხუთი ოფიცერი და სხვ.

პოლონეთის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება.

ბროდის რაიონში ჩვენი შეტევა ვითარდება. ბროდის აღმოსავლეთით ბრძოლაში იმ ნადავლის გარდა, რომელიც გუშინ იყო ჩამოთვლილი, ხელთ ვიგდეთ 500 ტყვე და 18 ზარბაზანი.

ტარნოპოლის რაიონში ჩვენ გადავრეკეთ პოლონელები მდინ. სერეტის მარჯვენა ნაპირზე. ვბორაჟში ხელში ჩაგვივარდა მოწინააღმდეგის ბრიგადის საველე შტაბი, 200 ტყვე, 16 ტყვიისმფრქვეველი, ყუმბარები, ვინტოვკები, ტყვიები და საველე გოსპიტალი.

ხბრუჩის რაიონში გავრეკეთ პოლონელები ამ მდინარის მარჯვენა გამაგრებულ ნაპირიდან და ვდევნით დასავლეთით.

**ყირიმის ფრონტი.** სასტიკი ბრძოლები სწარმოებს ალექსანდროვკასა და ორეხოვის რაიონში.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

**უპასუხისმგებლო პირების ცნობა.**

ადგილობრივ გაზეთ „სლოვოში" № 166 მოთავსებული იყო ვიღაც „უკრაინულ მისიის" ცნობა, რომლის თანახმათ „დირექტორიის ფრონტი გადის ოდესის ჩრდილოეთით ვოზნესენსკთან. დირექტორის ჯარები რკალივით ერტყმის ოდესის აღმოსავლეთით. დირექტორია მუშაობს ფრონტის ახლოს". ჩვენ მიერ მიღებულ ცნობების თანახმათ წითელ უკრაინულ ჯარების ფრონტი მიდის ბესერობიის (დრესტრზე) საზღვრით ტარნოპოლისაკენ (ტარნოპოლი ჩვენ ხელშია), და შემდეგ სჭრის ბროდი—ლვოვის გზას. ამ რიგათ უკრაინის მთელი ტერიტორია განთავისუფლებულია თეთრებისაგან.

რაც შეეხება მეორე ცნობას, შესაძლებელია „დირექტორია" მუშაობს „პოზიციების ახლოს" გალიციაში, რომელიც უკავია პოლონეთს.

—

ასევე ყალპი ცნობაა „ნორ აშხატავორში" ბაქოს მუშების აჯანყების შესახებ, რომელიც მეტად სასტიკათ ყოფილა ჩაქრობილი. ვაცხადებთ, რომ არც აჯანყებას და არც ამის ცდას ბაქოს მუშებში ადგილი არ ჰქონია, როგორც არ ყოფილა და არც იქნებოდა რომელიმე მუშის დახვრეტა.

**საბჭოთა აზერბაიჯანში**

**ქ. შემახის აღდგენა.**

**ბაქო,** 30 ივლისი. აზერბაიჯანის რევოლიუციონურმა კომიტეტმა გადასწყვიტა გადასდვას შემახის აღსადგენათ 82 მილიონი მანეთი.

**პოლიტეხნიკუმი.**

**ბაქო,** 30 ივლისი. 15 სექტემბრიზა გადაწყვეტილია პოლიტეხნიკუმის გახსნა, რომელსაც ექნება ხუთი განყოფილება: სანავთო-სამრეწველო, საამშენებლო-საინჟინერო, ელექტრო-მექანიკური, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიური.

**საბჭოთა რუსეთში**

**გერმანიის მუშების ჩამოსვლა**

**პეტერბურგი,** 23 ივლ. შრომის სასახლეში შესდგა გერმანელ მუშების მიტინგი, რომლებიც ჩამოვიდენ ამ დღეებში პეტერბურგში. ზოგიერთები ჩამოვიდენ ოჯახობით. ისინი მადლობელი დარჩენ ჩვენი გულიანი მიღებით.

**საბჭოთა ტეხნიკის განვითარება**

**მოსკოვი,** 29 ივლ. ჰაეროდინამიკურ ინსტიტუტში თავდება მატორიანი ნავის გაწყობა, რომლის სიჩქარე რამოდენიმე ჯერ უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივის.

**მახნო და ვრანგელი.**

**ეკატერინოსლავი,** 26 ივლისი. გამომჟღავნებულია პირდაპირი კავშირი „ბატკო" მახნოსა და ბარონ ვრანგელის შტაბს შორის. ცნობებიც არის მიღებული, რომ სევასტოპოლში არის ვრანგელთან მახნოს „დიპლომატიური წარმომადგენელი. ამგვარათ ანარქისტ მახნოს მონარქისტ ვრანგელთან კავშირი ფაქტია. მახნო განაგრძობს თავის მუშაობას გულიაი-პოლეში, მაგრამ ყოველივე მისი ცდა უნაყოფო ხდება, ვინაიდან მის „შაიკა" მეტად მცირე-რიცხოვანია. გადმოგვცემენ, რომ სადგ. დოლინსკაიასთან მახნოს ბანდამ დაარბია ებრაელების დუქნები ყვირილით: ვინც თავისუფლების მომხრეა, დასცეთ „ჟიდებს".

**მემამულეების მიწები ხელშეუხებელია.**

**ოდესა,** 20 ივლისი. კიშინიოვის გაზეთი „ნოვოე სლოვო" იუწყება, რომ პოლონეთის მთავრობას და პეტლიურას შორის დადებულ ხელშეკრულებაში არის შემდეგი მუხლი: „ყველა მიწები უკრაინაში, რომლებიც პოლონეთის მემამულეებს ეკუთვნის, ხელშეუხებელი რჩება და აგრარული კანონები და რეფორმები არ ეხება დასახელებულ მიწებს.

**შურის ძიება.**

**მოსკოვი,** 21 ივლისი. საფრანგეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრმა ლე-ტროკერმა განაცხადა პარლამენტში, რომ გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის დათხოვნილია 2.636 რკინის-გზელი. რკინის-გზის სახელოსნოების 5 ათასი მუშა.

**საყოველთაო გაფიცვა მილანში.**

**ქრისტიანია,** 20 ივლისი. მილანში (იტალია) გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა რკინის გზელთა დათხოვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნათ, რომლებმაც უარი განაცხადეს პოლონეთისთვის სამხედრო მასალის გადაზიდვაზე. ქალაქის ცენტრში მოხდა სისხლის-მღვრელი შეტაკებები პოლიციასთან და ჯარებთან.

**პროლეტარული ბლოკადა პოლონეთს.**

**მოსკოვი,** 27 ივლისი. გერმანიის ნავთსადგურის მუშებმა უარი განაცხადეს გადატვირთონ სამხედრო მასალა, რომელიც პოლონეთისათვის არის დანიშნულნული. ამგვარივე დადგენილება გამოიტანეს ინგლისი და იტალიის მუშებმაც.

**სპარსეთის წითელი არმიის წინსვლა.**

**მოსკოვი,** 27 ივლისი. სპარსეთის ოფიციალურ წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ სპარსეთის წითელი ჯარები ემუქრებიან ტეგერანს.

**ლიტველების წინსვლა.**

**ნაუენი,** 26 ივლისი. ინგლისის რადიო გადმოგვცემს, რომ ლიტველებმა დაიკავეს რევალკა. პოლონელი რაზმები გარშემორტყმულია.

## საბჭოთა აზერბაიჯანში

**ოსმალეთის კომუნისტურ პარტიის ყრილობა.**

**ბაქო,** 27 ივლისი. პირველ სექტემბერს ბაქოში შესდგება ოსმალეთის კომუნისტურ პარტიის ყრილობა. დღიურ წესრიგში დასმულია პირველ-ხარისხოვან საკითხების მთელი რიგი.

**მუშების დაზღვევა.**

**ბაქო,** 27 ივლისი. ა. ს. ს. რ. შრომსარკომმა გამოიმუშავა დეკრეტი მუშების და მუშა-ქალების სოციალურ დაზღვევის შესახებ. შემოღებულ იქნება უმუშევართა რეგისტრაციის ახალი სისტემა.

**მოხალისეთა კვირა.**

**ბაქო,** 27 ივლისი. 30 ივლისს ბაქოში იწყება სააგიტაციო კვირა აზერბაიჯანის წითელ არმიაში ნებაყოფლობითი შესვლის სასარგებლოდ.

**კომუნისტურ ბუნდში.**

**ბაქო,** 27 ივლისი. კომუნისტური ბუნდის ბაქოს კომიტეტმა განიხილა რა ბუნდის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ბუნდის გაერთანების შესახებ ებრაელების სოციალისტურ მუშათა პარტიასთან ერთ კომუნისტურ ორგანიზაციაში, დაადგინა: გაერთიანდეს ებრაელების სოციალ. მუშ. პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციასთან, თუ კი ის ოფიციალურად განაცხადებს, რომ უერთდება მე-III კომუნისტურ ინტერნაციონალს და იღებს რუსეთის კომუნისტურ პარტიის პროგრამას.

**ბაქო-მოსკოვი.**

**ბაქო,** 27 ივლისი. ეწყობა მატარებლების პირდაპირი მიმოსვლა ბაქო-მოსკოვს. გადაწყვეტილია აიწონოს მგზავრების ხელის ბარგი, რომ შეამცირონ მისი რიცხვი და სიმძიმე.

**ვრანგელის საქმიანობა.**

**თფილისი,** 22 ივლისი. ამხანაგი, რომელიც მოვიდა კაირიდან და ალექსანდრიიდან და გამოიარა პირეი, ათინა და კონსტანტინეპოლი, გადმოგვცემს, რომ ყველა ამ ქალაქებში მეფის მთავრობის ყოფილი საელჩოსი და საკონსულოს შენობები ფაქტიურათ ვრანგელის სამხედრო შტაბათაა გადაქცეული, სადაც თავს უყრიან მისი ჯარისთვის მოხალისეებს.

**გაფიცვა ინგლისში.**

**სტოკჰოლმი,** 24 ივლისი. გაფიცვები ინგლისში ფართე ხასიათს იღებს გაფიცული არიან ტელეგრაფისტები, მატროსები, მზარეულები კოჩეგარები შემკეთებლები, პურის მცხობლები და მებულკეები. გაფიცულები უარს ამბობენ დაიწყონ მოლაპარაკება სანამ გამოირკვევოდეს საკითხი პოლონეთისა და რუმინაისადმი ინგლისის მიერ სურსათ-სანოვაგისა და ნამხედრო მასალების მიწოდებისა.

**კომუნისტური მოძრაობა.**

**ნაუენი,** 23 ივლისი. ჯარში ვრცელდება კომუნისტური მოძრაობა გამოიცა კომუნისტების მოწოდება, სადაც მოითხოვენ კონტრ-რევოლიუციონური ოფიცრების გადაყენებას, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს არჩევას და კომუნისტური ბათალიონების შექმნას ბარიკადებზე საბრძოლველათ.

**მე-III ინტერნაციონალის ყრილობაზე.**

**ქრისტიანია,** 23 ივლისი. ახალმა კონფერენციამ, რომელიც შესდგებოდა 54 დელეგატებისაგან შვეიცარის ყველა რაიონებისა აკავშირებს სოციალისტური პარტიის მემარცხენე კომუნისტურ ელემენტებს, დაადგინა მიიღოს მიპატიჟება კომინისტური ინტერნაციონალის მე-II კონგრესზე მოსკოვში. მათი ორი წარმომადგენელი უკვე გზაშია.

# პარტიული ცხოვრება.

**ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მორიგი სხდომა, 25 ივლ. 1920 წ.**

25 ივლისს ქ. ქუთაისში გაიხსნა საგუბერნიო კომიტეტის მორიგი სხდომა.

კრებას დაესწრო 11 წევრი (გურიიდან, სენაკიდან, ზუგდიდიდან, შორაპნის მაზრიდან, ქ. ფოთიდან, ქუთაისიდან, სამღრედიიდან და ჭიათურა-ხორაგაულის რაიონიდან. აკლდენ რაჭის მაზრიდან და ხონის რაიონიდან.

ადგილებიდან მოხსენებები ხატავენ უკანასკნელ რეპრესიების სურათს, რეგისტრაცია არ მოთავებულა დევნის გამო. სულ ძველი წევრებიდან რეგისტრაციაში მოჰყვენ აქამდის 5.625 ამხანაგი ყველგან მრავალია კანდიდატებათ ჩაწერილი და ესენიც მალე წევრებათ გადაირიცხებიან.

რეპრესიების გამო მუშაობა შეფერხებულა. სამეგრელოში 11 ბიუროდან არც ერთი არ დარჩენილა დაუხურავი. ადმინისტრაცია დაჭერილ გლეხებისგან მოითხოვდა ხელწერილს, რომ შემდეგში აღარ მიიღებდენ მონაწილეობას საქართველ. კომუნისტურ ორგანიზაციებში, ზოგიერთ მიწის მუშებს კიდეც მიუციათ ხელწერილი. ახლო მომავალში მოქმედების შესახებ კრებამ დაადგინა: მიუხედავათ აუტანელ პირობებისა და რეპრესიებისა, გაგრძელებულ უნდა იქმნას ორგანიზაციული მუშაობა ლეგალურ ფარგლებში.

მრავალ წვრილმან საკითხების გარჩევის და გადაწყვეტის შემდეგ კომიტეტის წევრები გაემგზავრენ თავთავიანთ რაიონებში, ხოლო მორიგი საქმეების გაძღოლა მიანდვეს კომიტეტის ბიუროს.

X.

**რაიონებში.**

დევნისა და რეპრესიების გამო სრულიად შეუძლებელი იყო პარტიული მუშაობის წარმოება რაიონებში. ახლა კი პარტიული მუშაობა რაიონულ კომიტეტებში ხელახლა ჩაღდება.

**მე-3-მე რაიონში.**

მესამე რაიონის ყველა იაჩეიკების სხდომებზე გამოტანილია საპროტესტო რეზოლიუციები ამხანაგებისა და კომუნისტების დევნისა და დატუსაღების წინააღმდეგ.

**წითელ ჯვარში.**

პარტიულ წითელ ჯვარში გრძელდება ენერგიული მუშაობა. ამხანაგების შემოწირულებიდან და სხვა შემოსავლიდან წითელი ჯვრის კასაში არის ამ ჟამად ათასი მანეთი, რაც წავა დატუსაღებულ პარტიულ ამხანაგების ოჯახების დასახმარებლად.

წითელი ჯვარი სთხოვს ყველა ამხანაგებს, რომელსაც წაღებული აქვთ შემოწირულებების წიგნაკები დააბრუნონ საჩქაროთ.

# კომუნისტების დევნა

**აბაშის რაიონი.**

საქ. კომ. პარტიის ლეგალურათ არსებობა და მისი იდეური მუშაობა, ორგანიზაციების მოწყობა, გაზ. „კომუნისტის“ ზრდა და შემდეგ „ახ. კომუნისტის“ გავლენის მშრომელ მასაზე და გლეხობაზე, მოსვენებას არ აძლევს კომუნისტების მტრებს.

მათ ვერ გაუძლეს თავისუფალ სიტყვას და პრესას. ოფიციალურათ, ვითომ არ იჭერენ იდეურ კომუნისტებს და არ დევნიან მათი ორგანიზაციებს, მაგრამ ცხონებული ნიკოლოზის 87—სტატიის არ იყოს, მენშევიკებსაც აქვთ ამდაგვარი სტატია, მაგალითათ: შეიარაღებული აჯანყება, ყაჩაღებთან კავშირი და სხვა. ნამდვილათ კი დევნიან იდეური კომუნისტებს და მათი ორგანიზაციებს. განა ამის საბუთათ არ კმარა ამხ. მიშა ოკუჯავას და დათ. ლორთქიფანიძის დაპატიმრება ქუთაისში? კომ. პარტიის წევრების და მათი ბიუროების დარბევა სენაკის და ზუგდიდის მაზრებში?

მიიღეს რა ლოცვა კურთხევა ადგილობრივმა პასუხისმგებელი თანამდებობის აღმასრულებლებმა მიმართეს ხრიკებს; შეიარაღებული აჯანყებას და ყაჩაღებთან კავშირს, ამით მარტო მთავრობის საქმეს არ აკეთენ, არამედ თავიანთი კერძო სიამოვნებისთვისაც იყენებენ. მაგალითათ 26—ივნისში დაიჭირეს დ. აბაშაში ამხ. ნინა ჯლამაძე (ძაძუნია). დაჭერა საიდუმლოებით იყო მოცული. ქუთაისის სისხლის სამართლის უფროსის ბ. ფიჩხაიას (ყოფილი ქუთაისის ციხის უფროსი) ბრძანებით ს. კულაშში ქუთაისიდან მოსული ორი მილიციონერი ამხ. ძაძუნიას ეძებდენ რადგან კულაშში არ იმყოფებოდა ამხ. ძაძუნია, ისინი გაემგზავრენ დ. აბაშაში და დააპატიმრეს თავის დედის-დასთან. უორდეროთ, ბრალდების წამოუყენებლათ უოქმოთ, და წაიყვანეს ქუთაისში. მას ბ. ფიჩხაია ართმევს ჩვენებას და უყენებს „ბრალდებათ ყაჩაღებთან კავშირს“. ამ საზიზღარი და მოულოდნელი ცილის წამებაზედ ამხ. ძაძუნიამ მოსთხოვა საბუთი. ბოლოს გამოირკვა რომ ბ. ფიჩხაიასაც არ წამდა ასეთი ბრალდება, მეც ვიცი თქვენ ასეთი არა ხართო და ეს ასე დარჩესო, ხოლოთ ამხ. ძაძუნიას უცხადებს „სიყვარულს“, და აძლევს წინადადებას რომ მას დაუახლოვდეს. ღებულობს რა უარყოფითი პასუხს, მისი საზიზღარი წინადადებაზედ, ბ. ფიჩხაია სამი დღის შემდეგ ანთავისუფლებს ამხ. ძაძუნიას, ხოლო იტოვებს მისამართს—სად იცხოვრებო. ეჭვს გარეშეა, ამხ. ძაძუნია არავის დაუბეზღებია, არამედ ბ. ფიჩხაიას, როცა ის ციხის უფროსათ იყო, იქიდან ახსოვდა ამხ. ძაძუნია, რომელიც განთავისუფლდა სხვებთან ერთათ 14—მაისს. დღესავით ნათელია ფიჩხაიას პირუტყულ—მხეცური და საზიზღარი წინასწარი ზრახვანი. ნუ თუ მას უნდა ითმენდეს დემოკრატიული მთავრობა? იცოდეთ ბ.ბ. ფიჩხაიებო: სასტიკი პასუხს გაგებინებთ ისტორიული სამჯავრო.

**ძველი კომუნისტი.**

# მუშათა ცხოვრება.

**ჩვენში.**

**თბილისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების მდგომარეობა.**

ყველა მეტად აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან თბილისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეები. და ამიტომ ისინი არა ერთხელ მიმართავენ თავიანთ პროფესიონალურ კავშირს მათი ინტერესების დასაცავად მყვლეფელებისაგან. მაგრამ კავშირს არ ძალუძს აღმოუჩინოს მათ საგრძნობი დახმარება.

არიან მოსამსახურეები, რომლებიც ღებულობენ თვეში 3000 მანეთს, და ასეთები ცოტა არ არის. ყოველი პროტესტის დროს სამუშაო ქირის წინააღმდეგ ხაზეინები იმუქრებიან მუშა-მოსამსახურეების ქუჩაში გაყრით, ხოლო საკითხის გაშვება-გაგდების შესახებ გარჩევა ისე ჭიანურდება კავშირში, რომ მას გადაჭრას ბოლო არ უჩანს. მუშები და მოსამსახურეები კი ჯანამდის შიმშილით დაიხოცებიან და ამიტომ ხმის ამოუღებლად იტანენ ისინი ამ გაჭირვებას, რადგანაც ეშინიათ ქუჩაში არ დარჩენ გამოგდებული.

**საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივის მუშა-მოსამსახურეები.**

საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივის ლიკვიდაციის დროს მუშა-მოსამსახურეებს აქამდის არ მიუღიათ სალიკვიდაციო და ერთდროული დახმარება. ლიკვიდაციის დღიდანვე მუშები უკაპეიკოთ დადიან, მიმართავენ კოოპერატივის გამგეობას, მაგრამ გამგეობა დაჟინებით სდუმს და ვარს ამბობს აღმოუჩინოს კანონიერი დახმარება მუშებს მოსამსახურეებს. მიმართავენ თავიანთ პროფკავშირის სეკრეტარიატს, მაგრამ სეკრეტარიატიც დუმილით და საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივის წინააღმდეგ უძლურებით უპასუხებს.

**ლითონზე მომუშავეთა შორის.**

ლითონზე მომუშავეებმა და ელექტრიკებმა მიმართეს ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირს მოთხოვნილებით, რომ, ვინაიდან ისინი სიძვირის ზრდის გამო აუტანელ მძიმე ეკონომიურ პირობებში არიან, იშუამდგომლოს მეორეჯერ სამუშაო ქირის მომატების შესახებ. გამგეობა დაპირდა მუშებს იშუამდგომლოს ამ საკითხს შესახებ შეძლების დაგვარათ სატარიფო პალატის წინაშე.

**ქალაქთა კავშირის კოოპერატივში**

ქალაქთა კავშირის კოოპერატივში ფეხმძიმეობის გამო კოოპერატივის მოლარე ქალი 2 თვით გაანთავისუფლეს სამსახურიდან. მშობიარობის შემდეგ მოლარემ სთხოვა მიეცეთ მისთვის ავადმყოფობის გამო გამოტოვებულ თვის ჯამაგირი, მაგრამ კოოპერატივის გამგეობამ უარი უთხრა მას. ამის შემდეგ მოლარემ ითხოვა ჯამაგირის ნაწილი მაინც მიეცათ, მაგრამ ამაზეც უარი უთხრეს მას.

**უმუშევრობა**

შრომის ბირჟაში აუარებელი მუშებია ჩაწერილი; მათ არსად არ მისცენ ადგილი რომ ემუშავნათ ან ემსახურათ, ვინაიდან ყველა დაწესებულებებში და ფაბრიკებში ღებულობენ შრომის ბირჟის დაუკითხავადაც ეს ერთი, და მეორეთ, მუშებს და მოსამსახურეებს საქართველოში ღებულობენ რეკომენდაციით ან და პროტექციით.

## საზღვარ-გარეთ

**რკინის გზელების გაფიცვა ინგლის[ში]**

ინდოეთიდან მოსულ ცნობების მიხ[ე]დვით, გაფიცვა ინდოეთის ჩრდილოე[თ]-დასავლეთის რკინის გზებზე სულ უფრ[ო] და უფრო იზრდება და იმუქრება გახდ[ეს] საყოველთაო. სულ გაფიცულია 20,0[00] მუშა რკინისგზელი.

**გაფიცვები გერმანიაში**

ნახშირის რაიონის მუშებში სულიე[რი] განწყობილება ნერვიულია. ლეიპციგ[ის] მიდამოებში გამოცხადებულია გაფიც[ვა] მოელიან ელექტრონის განათების შეწ[ყ]ვეტას. საკსონიაში ისევ საალყო წესებ[ია] გამოცხადებული.

**რუმინელ მუშების პროტესტი**

მბეჭდავების პროფესიონალურ კავშ[ი]რების კრებაზე მიღებულ იქმნა რეზო[]ლიუცია პროტესტებისა მბეჭდავების დ[ა] პროფ. კავშირების დევნის წინააღმდე[გ], რომლებიც სოციალისტურ პლატფორ[]მაზე დგანან.

**მუშათა ამნისტიის პროექტი**

რუმინელი გაზეთი „იზბინდა“ იუწყ[ე]ბა, რომ სამხედრო მინისტრმა გამოიმ[უ]შავა მუშათა ამნისტიის პროექტი, რო[მ]ლებიც მონაწილეობას ღებულობდ[ნენ] უკანასკნელ გაფიცვებში. გაფიცული მ[უ]შები სამხედრო სასამართლოში იყვნ[ენ] მიცემული.

## წერილი რედაქციის მიმართ

**წერილი „ახ. კომუნისტის“ რედაქციას.**

ვინაიდან ჩვენი მსოფლმხედველობ[ა] არ ეთანხმება საქ. სოც.-დემ. (მენშევ[ი]კების) მუშათა პარტიის პოლიტიკას დ[ა] ტაქტიკას, ამიტომ ჩვენ ქვემორე ხელ[ის] მომწერნი გამოვედივართ მენშევიკებ[ის] პარტიიდან 1920 წ. 15 ივლისიდან დ[ა] შევდივართ საქართველოს კომუნისტუ[რ] პარტიაში, რომელიც ჩვენი მსოფლ[]მხედველობის საუკეთესო გამომხატვ[ე]ლია.

თბილისის მთავარ სახელოსნოს მ[უ]შები: 1) ნასიბოვ, ისა, 2) ბენიატო[ვ] მუსა.

## ჩვენი ფოსტა

**ძველ კომუნისტს:** გამოგზავნეთ ხშირ[-]ხშირათ კორესპონდენციები პარტიულ[ი] მუშათა და სოფლის ცხოვრებიდან.

**დრ. რედაქტორი:**
**დიმიტრი ჯორბენაძე.**

# უ წ უ ე ბ ა ნ ი:

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

თფილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135. სადაც პლეხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამოობით 5—7 ნახ. საათამდე.

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთაველის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 ,,ათამდე.

**მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო** დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონ[უ]ლი კომიტეტისა მოთავსებულია კალ[ო]სტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბ[ა]ნში), აქვე მოთავსებულია დროებ[ით] გურიის კომიტეტი საქართველოს ახალ[]გაზდათა კომუნისტური პარტიისა.

**რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.**

# ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტ[ე]ტის საწყობში არის შემდეგი გამოცემ[ე]ბი. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკ[]თხონ კომიტეტის სადგომში—ტფილ[ი]სი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილის[ის] და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტ[ი].
3. საბჭოთა რესპუბლიკა.
4. კომუნისტური ინტერნაციონალ[ის] პლატფორმა.
5. ვლ. როზანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითად[ი] კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მე[-]საბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რ[ე]ვოლიუცია.
10. კობა (სტალინ) ჯუღაშვილი—დი[ა]ლექტიური მატერიალიზმი.
11. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომ[უ]ნისტური მანიფესტი.
12. ნ. ბუხარინი—პროგრამა კომუნ[ი]სტებისა (ბოლშევიკების).
13. პარტიული წესდება.